საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიაჩკოვი ბორის მიხეილის ძე

ბ. დიაჩკოვი

დიაჩკოვი ბორის მიხეილის ძე (23. VIII. 1903, თბილისი, – 17. XII. 1986, იქვე), სპორტსმენი (მძლეოსნობა), მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1940), სსრკ დამს. მწვრთნელი (1952). საკავშ. კატეგორიის მსაჯი (1939), სსრკ ფიზკულტ. და სპორტის დამს. მოღვაწე (1966).

1934 დაამთავრა მოსკოვის ფიზკულტ. სახელმწ. ინ-ტი, 1938 – ამიერკავკ. მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინ-ტი. სსრკ ჩემპიონი სამხტომში (1924) და 4×100 მ ესტაფეტაში (1927), სსრკ მრავალგზის ჩემპიონი სიმაღლეზე და ჭოკით ხტომაში. მწვრთნელად მუშაობა დაიწყო 1921. აღზარდა ქართვ. სახელოვან მძლეოსანთა მთელი პლეადა: ნ. დუმბაძე (დ-ის მეუღლე), ე. გოკიელი, ლ. სანაძე, რ. შავლაყაძე, ი. დიაჩკოვი (ვაჟიშვილი, სსრკ ორგზის ჩემპიონი ათჭიდში) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ნ. გუგუშვილი